საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 284/ს
22/06/2023

284-21-4-202306221638

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშნის“ მდ. ნატანებზე 9.085 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის („ნატანები 3 ჰესი“) და 110 კვ ძაბვის ღია ქვესადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 6 ივნისის №161/ს ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

2021 წლის 17 ივნისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშნის“ მდ. ნატანებზე 9.085 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის („ნატანები 3 ჰესი“) და 110 კვ ძაბვის ღია ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-892).

2022 წლის 6 ივნისს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშნის“ მდ. ნატანებზე 9.085 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის („ნატანები 3 ჰესი“) და 110 კვ ძაბვის ღია ქვესადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება№161/ს), რომლის საფუძველზე საქმიანობა არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

2023 წლის 15 ივნისს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს განცხადებით მომართა შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშნის“ დირექტორმა და ითხოვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშნის“ მდ. ნატანებზე 9.085 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის („ნატანები 3 ჰესი“) და 110 კვ ძაბვის ღია ქვესადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 6 ივნისის №161/ს ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშნის“ განცხადებისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშნის“ მდ. ნატანებზე 9.085 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის („ნატანები 3 ჰესი“) და 110 კვ ძაბვის ღია ქვესადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 6 ივნისის №161/ს ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშნს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშნის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო